№45(46) 15.11.199

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## ნომერშია:

**ხანგრძლივი პაუზის შემდეგ**

ნიკოლოზ დერიუგინი კვლავ მოედანზეა

მე-8 გვერდი

**„ამერიკა ჩემთვის ბედნიერი ქვეყანაა“**

ლელა მეხხის ინტერვიუ ნიუ-იორკის გაზეთში

მე-4 გვერდი



დაიწყო საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი კეტბურთში

იხ. მე-2 გვერდი

## რომან გიუტაშვილი ევერესტზე!

როგორც „სარბიელის“ წინა ნომერში გაცნობეთ, რომან გიუტაშვილი გახდა პირველი ქართველი მთამსვლელი, რომელმაც მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, ევერესტი დაიპყრო. ჩვენ დავრეკეთ სსრკ-ის ალპინიზმის ფედერაციაში და ვესაუბრეთ საბჭოთა ალპინიზმის ვეტერანს ნიკოლაი ჩორნის, რომელიც ახლახანს დაბრუნდა ჰიმალაიდან. როგორც ნიკოლაი ჩორნიმ გვითხრა, იგი პირადად შეხვდა რომან გიუტაშვილს კატმანდუში და შეიტყო, რომ ქართველი მთამსვლელი ევერესტზე ავიდა ჟანგბადის სასუნთქი აპარატის გამოყენებით (არსებობს ე.წ. უჟანგბადო ასვლაც), პეტერბურგის ალპურ კლუბ „ალპინისტის“ მიერ მოწყობილი, ცნობილი სპორტსმენების ბელიბერდინისა და ბუკრეევის ექსპედიციის წევრებთან ერთად. დაწვრილებით ექსპედიციის შესახებ გესაუბრებით ბატონ რომან გიუტაშვილის თბილისში დაბრუნებისთანავე.

## ახდენილი წინასწარმეტყველება

ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა, თავის დროზე საქართველოში თავადაც ერთ-ერთმა ძლიერესმა ხელის გადამწევმა გურამ სალარაძემ სახელოვან ქართველ წყალბურთელთან, მკლავჭიდის ფედერაციის ერთ-ერთ დამაარსებელთან — ოთარ მამინოშვილთან საუბარში თქვა: ზურ ცხადაძე ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი ვერასოდეს გახდება, ხელის გადაწევაში კი შეუძლია ეს ტიტული მოიპოვოსო. არ მეგონა, თუ ეს წინასწარმეტყველება ოდესმე ახდებოდა. 1991 წლის 4 ნოემბერს ისრაელში ცხადაძე მართლაც გახდა მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში, ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში, თანაც ისე, რომ მეტოქეთაგან წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია.

დავიწყებ იმით, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლის იმედი არ გვქონდა. თავად მოგეხსენებათ, რა მძიმე ვითარებაა დღეს საქართველოში და ასეთ დროს ამოდენა გუნდის უცხოეთში წაყვანა თითქოს წარმოუდგენელი ჩანს. მაგრამ ჩვენ უნდა წავსულიყავით რადაც უნდა დაგვჯდომოდა. ჯერ ერთი, თუ მსოფლიო ჩემპიონატზე არ ჩავიდოდით, ფედერაციიდან ავტომატურად გავირიცხებოდით და 1993 წელს თბილისში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლებაც ჩამოგვერთმეოდა. მე და ირაკლი შაიშმელაშვილს, ფედერაციის გენერალურ მდივანს და მთავარ მსაჯს, მსოფლიო ჩემპიონატში მსაჯობის უფლებას ჩამოგვართმევდნენ და რაც მთავარია, ქართველი კაცი კარგავდა სპორტის ისტორიაში პირველად საქართველოს სახელით მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შანსს. ისრაელის საელჩომაც ძალიან გაგვიძნელა საქმე, მაგრამ კეთილმა ადამიანებმა ყველაფერი იღონეს ჩვენი ნაკრების ჩემპიონატზე გასამგზავრებლად.

ისრაელში ქართველთა დელეგაციის ხელმძღვანელი იყო ბატონი თამაზ დაუშვილი. გუნდს ახლდა საქართველოს მაკაბის პრეზიდენტი მიხეილ გუნდიევი, რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა. ჩემპიონატი ტარდებოდა საკურორტო ქალაქ ნეტანიაში. კარგად მოვეწყვეთ, მაგრამ გუნდის მთავარი იმედი ზაურ ცხადაძე ავად გახდა. ჯერ იყო და, როცა თვითმფრინავმა ხწრაფად დაიწყო დაშვება და წნევისაგან ზაურს ლამის ყავი გასკდა, შემდეგ ზურგი გაუცივდა და დაეწყო აუტანელი ტკივილები. ამას დაერთო ნაღვლის ბუშტის ანთება. ხელის გადაწევაზე ვინლა ფიქრობდა, კაცი საავადმყოფოში იყო წასაყვანი. კარგა მოზრდილი თანხა გადავიხადეთ,

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## ყურადღება, ახალი ფორმულა!

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ფეხბურთში ახლებური ფორმულით გაგრძელდება. მთავარი ჯილდოსთვის ბრძოლაში შემორჩენილი რვა გუნდი ორ ნახევარფინალურ ჯგუფში გააგრძელებს ასპარეზობას. ჟენევაში ჩატარებული კენჭისყრის შემდეგ გაირკვა ჯგუფების შემადგენლობები: A ჯგუფი: „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია), „ანდერლეხტი“ (ბელგია), „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი), „სამპდორია“ (იტალია); B ჯგუფი: „სპარტა“ (ჩეხეთსლოვაკეთი), „დინამო“ (კიევი), „ბენფიკა“ (პორტუგალია), „ბარსელონა“ (ესპანეთი). ჯგუფური შეხვედრების კალენდარი იხილეთ მეოთხე გვერდზე.

თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში ითამაშებენ:

„ვერდერი“ (გერმანია) — „გალათასარაი“ (თურქეთი)

„რომა“ (იტალია) — „მონაკო“

„ატლეტიკო“ (ესპანეთი) — „ბრიუგე“ (ბელგია)

ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — „ტოტენჰემი“ (ინგლისი)

უეფას თასზე წლის ბოლომდე (27 ნოემბერს და 11 დეკემბერს) გაიმართება მერვედფინალური მატჩები:

„ბკ1903 (დანია) — „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი)

„გენტი“ (ბელგია) — „დინამო“ (მოსკოვი)

„ჰამბურგი“ (გერმანია) — „სიგმა“ (ჩეხეთსლოვაკეთი)

„ტიროლი“ (ავსტრია) — „ლივერპული“ (ინგლისი)

„ოსასუნა“ (ესპანეთი) — „აიაქსი (ჰოლანდია)

„სტიაუა“ (რუმინეთი) — „ჯენოა“ (იტალია)

აეკ (საბერძნეთი) — „ტორინო“ (იტალია)

„ქსამაქსი“ (შვეიცარია) — „რეალი“ (ესპანეთი)

## ეროვნული ჩემპიონატი

### IX (გამოტოვებული) ტური

ცხუმი — კოლხეთი-13 3:0
მრეტები — ბათუმი 2:1
ოდიში — ქუთაისი 2:2
მარგვეთი — გურია 0:0
გორდა — იბერია 1:2
ალაზანი — ამირანი 0:0
სამგურალი — სამტრედია 1:3
დილა — სულორი 5:2
მერცხალი — შევარდენი-06 3:0
მზიური — კოლხეთი 2:0

### XVI ტური

სამტრედია — მრეტები 1:0
ამირანი — სულორი 4:0
იბერია — შევარდენი-06 3:2
გურია — კოლხეთი 2:0
ქუთაისი — მზიური 5:0
კოლხეთი-13 — მერცხალი 3:1
ბათუმი — დილა 1:0
ცხუმი — სამგურალი 3:0
ოდიში — ალაზანი 5:2
მარგვეთი — გორდა 2:2

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 14 | 12 | 0 | 2 | 46:17 | 36 |
| 2. ცხუმი | 15 | 12 | 0 | 3 | 40:19 | 36 |
| 3. გორდა | 15 | 10 | 3 | 2 | 32:14 | 33 |
| 4. გურია | 15 | 10 | 2 | 3 | 37:18 | 32 |
| 5. ოდიში | 15 | 10 | 2 | 3 | 27:18 | 32 |
| 6. სამტრედია | 15 | 8 | 1 | 6 | 27:25 | 25 |
| 7. შევარდენი-06 | 15 | 7 | 1 | 7 | 23:23 | 22 |
| 8. მზიური | 15 | 7 | 1 | 7 | 16:26 | 22 |
| 9. ქუთაისი | 15 | 6 | 2 | 7 | 28:23 | 20 |
| 10. დილა | 15 | 6 | 1 | 8 | 22:22 | 19 |
| 11. ბათუმი | 15 | 6 | 1 | 8 | 24:25 | 19 |
| 12. მრეტები | 15 | 5 | 3 | 7 | 20:21 | 18 |
| 13. კოლხეთი-13 | 15 | 5 | 3 | 7 | 17:22 | 18 |
| 14. სულორი | 15 | 5 | 2 | 8 | 23:31 | 17 |
| 15. მარგვეთი | 15 | 4 | 5 | 6 | 20:27 | 17 |
| 16. სამგურალი | 14 | 5 | 0 | 9 | 13:26 | 15 |
| 17. ალაზანი | 15 | 4 | 2 | 9 | 18:32 | 14 |
| 18. ამირანი | 15 | 4 | 1 | 10 | 19:24 | 13 |
| 19. მერცხალი | 15 | 3 | 2 | 10 | 17:40 | 11 |
| 20. კოლხეთი | 15 | 2 | 4 | 9 | 17:31 | 10 |

## იმსაჯებენ ლიტველები

როგორც იცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ლიტვის საფეხბურთო კავშირთან დადო ხელშეკრულება, რომლის პუნქტებიც „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია. ხელშეკრულება უკვე ამოქმედდა, კერძოდ, საქართველოში ჩამოდის ლიტველ მსაჯთა ორი ბრიგადა. დღეს ისინი მოემსახურებიან უმაღლესი ჯგუფის ორ მატჩს: „მრეტები“ — „გორდა“ და „დილა“ — „ცხუმი“, შემდეგ კი ლიტველები პირველი ჯგუფის შეხვედრებსაც იმსაჯებენ.

## მკლავჭიდი

# ახდენილი წინასწარმეტყველება

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

რომ თითოეულ სპორტსმენს მონაწილეობა მიეღო შეჯიბრებაში. კონგრესზე ჩვენ და უნგრელებს საზეიმოდ მოგვილოცეს WAF-ის წევრობა. შეჯიბრებამდე ოთხი დღე თავისუფალი გვქონდა. ზაური ნელ-ნელა გამოკეთდა. შეჯიბრება დამჯდარი წესით ტარდებოდა. ეს, თითქმის სხვა სპორტის სახეობაა. მთავარ მსაჯად დანიშნეს ამერიკელი ქალი, რაც სპორტის ამ სახეობაში უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს ქალი ციხის მეთვალყურეს უფრო ჰგავდა, ვიდრე მსაჯს. მის დამხმარედ დაინიშნა ინგლისელი დევიდ უორკი. შეჯიბრება მარცხენა ხელითაც ტარდებოდა, ქალები ცალკე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მარჯვენა ხელით მოასპარეზეებში 12 წონა იყო, მემარცხენეებში — 8. ჩვენ მხოლოდ მემარჯვენეთა გუნდი გვყავდა. სოფრომ სანთელაძე და კობა თოდაძე მარცხენა ხელით საასპარეზოდაც ჩაეწერნენ. 55 კგ წონით კატეგორიაში 42 წლის ნოდარ რეხვიაშვილი გამოდიოდა. პირველ შეხვედრაში სტარტი მისი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მისცეს და წააგებინეს. მერე მოიგო, მესამე შეხვედრა კი ისევ წააგო და ბრძოლას გამოეთიშა. გია გვიჩიანმა შეჯიბრების წინ ფეხი იღრძო, წონა ვერ დაიკლო და 60-ის ნაცვლად 65 კგ წონაში გამოვიდა. აქ მას გამარჯვების შანსი არ ჰქონდა. პირველ მეტოქედ კვლავ ამერიკელი ჰყავდა, მომავალი მსოფლიო ჩემპიონი, უძლიერესი ათლეტი. ამერიკელმა დამსახურებულად გაიმარჯვა. შემდგომი ბრძოლა გიამ მოიგო, მესამე კი წააგო. მარცხენა ხელით სოფრომ სანთელაძემ ბრწყინვალედ იასპარეზა, რვა შეხვედრა მოიგო ისე, რომ მეტოქეებს წარმატების იმედი გადაუწურა. ფინალში იგი რამდენიმე წუთის შეუპოვრად ებრძოდა კანადელ ათლეტს და მხოლოდ გამოუცდელობით დათმო შეხვედრა.

კობა თოდაძე წონით 85 კილოგრამია, მაგრამ 90 კგ. წონაში იბრძოდა. მემარცხენეებში 85 კგ. წონითი კატეგორია საერთოდ არ არის. კობა უნიჭიერეს სპორტსმენად ითვლება არა მარტო საქართველოს ნაკრებში, არამედ მთელს მსოფლიო მკლავჭიდში. იგი ახლახანს გახდა 18 წლის. მარცხენა ხელით კობამ პირველად იასპარეზა და მრავალნაცად მსოფლიო ჩემპიონებთან ბრძოლაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ევროპის ჩემპიონ ლერი სალდიანს მძიმე ტრავმა აწუხებდა. თითქმის სამთვენახევარი არ უვარჯიშია, მაგრამ მაინც მედგრად იბრძოდა. იგი ორჯერ დამარცხდა ბრაზილიელ საშუალო ძალი' ათლეტთან, საბოლოოდ კი მეხუთე ადგილზე გავიდა. მოკლედ, პირველი დღე ჩვენთვის სრული ფიასკოთი დასრულდა. მემარცხენეებში მოპოვებული ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დიდი ნუგეში არ იყო. მემარჯვენეთაგან ერთმა დაიკავა მეხუთე ადგილი.

ასპარეზობას მეორე დღეს პრეზიდენტი ესწრებოდა.

80კგ წონით კატეგორიაში ჯიმი მერაბიშვილმა რვა ბრძოლა ბრწყინვალედ მოიგო. იგი ფინალში შეხვდა მკლავჭიდის ცოცხალ ლეგენდას მეტსახელად „კობრას", ამერიკის გუნდის შავკანიან ლიდერს. ფინალი ჯიმიმ დათმო. კობა თოდაძემ მოწინააღმდეგეებს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა, მაგრამ საქმეში მსაჯი ჩაერია. კობა ხვდებოდა მსოფლიო ჩემპიონს მემარცხენეებში, 85კგ წონაში, იტალიელ ათლეტს. მან პირველსავე შერკინებაში დაადებინა გამოცდილ მეტოქეს ხელი, მაგრამ მსაჯმა არ ჩაუთვალა გამარჯვება. მეორედ კობამ პირდაპირ მიალურსმა მეტოქე მარჯვენა დაზგას. მსაჯი ვერაფერს ხედავდა, კობა კი მას უყურებდა, ხელი მოადუნა და იტალიელმა ისარგებლა შემთხვევით. ბარე ხუთმა ქვეყანამ მიართვა ბატონ პრეზიდენტს სანახავად ვიდეოფირი (განსაკუთრებით ესპანელები აქტიურობდნენ). შემდეგ WAF-ის პრეზიდენტმა მითხრა ვიცი, მართლები ხართ, მაგრამ არ გინდათ დიდ ეკრანზე ფირის ჩვენება, ისედაც თავი შეირცხვინეს მსაჯებმაო. აღარ ჩავაცივდით. თანაც კობამ შემდეგი ბრძოლა მოიგო და ასპარეზობას აგრძელებდა. მომდევნო ბრძოლაში მან ისრაელის გუნდის წევრს ორჯერ სუფთად დაადებინა ხელი, მსაჯმა კი ორი გაფრთხილებით წაგება ჩაუთვალა. ესეც უსამართლობა იყო. ამ წონის ფინალში ამერიკელი და იტალიელი ათლეტები შეხვდნენ ერთმანეთს. ამერიკელმა გაიმარჯვა. ამერიკელები საერთოდ, პროფესიონალები არიან და უძლიერესი სპორტსმენები ჰყავთ. მაგრამ 85კგ. წონაში ასპარეზობის შემდეგ ამ გუნდს ბედი აღარ სწყალობდა. 90კგ. წონაში ერეკლე გურჩიანმა პირდაპირ გაანადგურა მოწინააღმდეგეები. ნახევარფინალსა და ფინალში მან ამერიკელს ადვილად სძლია და გაიმარჯვა.

დადგა 110კგ-ზე მძიმე წონაში ასპარეზობის დრო. ზაურ ცხადაძე ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე. მე პირველად ვნახე ადამიანი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ბრძოლების დროს ხუმრობდა, ზაურმა ინგლისელი, ამერიკელი, ბერძენი მეტოქეები დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. იგი ჩემპიონატის ნამდვილი გმირი იყო. მსოფლიო მკლავჭიდში ალბათ მოიძებნებიან მასზე ტექნიკური ათლეტები, მაგრამ ვფიქრობ ზაურ ცხადაძე მსოფლიოში ყველაზე ღონიერი მკლავჭიდელია. ეს მისთვის მხოლოდ გზის დასაწყისია. მკლავჭიდში ჩვენ კმაყოფილები ვიყავით. ხუმრობა ხომ არ არის, დამჯდარი ბრძოლა თან ამერიკელ პროფესიონალებთან. ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი ჩვენი ნაკრებისთვის ურიგო შედეგი არ იყო. WAF-ს გადაწყვეტილი აქვს შემდეგში გააუქმოს დამჯდარი ბრძოლა. ისრაელში საქართველოს ნაკრებს ახლდა მსახიობი, რეჟისორი და მკლავჭიდელი სოსო ჯაჭვლიანი. მას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა, ორი დღე აპარატი არ მოუცილებია, თან ასპარეზობდა კიდეც. 85კგ. წონაში სოსო მომავალ ჩემპიონთან, დამარცხდა და ბრძოლა აღარ გაუგრძელებია. სამაგიეროდ უნიკალური კადრები გადაიღო. ჩემპიონატის ორივე დღეს ღირსეულად იმსაჯა ირაკლი შაიშმელაშვილმა, რაც, მერწმუნეთ ძალიან ძნელია. ბოლოს მინდა მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც დაგვეხმარა: საქართველოს მინისტრთა კაბინეტს, ბატონ ბესარიონ გუგუშვილს, სპორტისა და ტურიზმის მინისტრს კახი ასათიანს, ორგანიზაცია „ორბს", რომელმაც თხუთმეტ კაციანი გუნდი ყოველგვარი ვალუტის გარეშე გადაგვაფრინა თელავივს, „ივერთბანკს", სადაზღვევო კომპანია „გავაზს" და ბატონ გივი მაისურაძეს.

**ვახტანგ მუსელიანი,**
საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, მკლავჭიდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი



## კეტბურთი



„ივერია-2" — „თბილისი" 9:21

# თბილისური საქართველოს ჩემპიონატი

ხუთიოდე წელია, რაც საქართველოში კეტბურთი შემოვიდა. ამ პერიოდში თბილისში ორი საკმაოდ ძლიერი გუნდი შეიქმნა, რომლებმაც საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაც მოასწრეს; არაერთი საერთაშორისო შეხვედრაც ჩატარდა. აი, რესპუბლიკური პირველობის გამართვას კი აქამდე ვერ დაადგა საშველი.

გასულ შაბათს ეს ხარვეზიც გამოსწორდა — სტარტი აიღო საქართველოს პირველმა ეროვნულმა ჩემპიონატმა, რომელშიც თბილისის ოთხი გუნდი ჩაება: „ივერია" (ძირითადი და ახალგაზრდული შემადგენლობა), „მერანი" და „თბილისი". შეჯიბრება ოთხ წრედ გაიმართება და, თვის ბოლომდე გასტანს. თითოეულ გუნდს 12-12 მატჩის გამართვა მოუწევს.

დიდუბეში, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს" სტადიონზე პირველი ჩემპიონატის პირველ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „ივერია" და „თბილისი". სამიოდე კვირის წინ ეს გუნდები რესპუბლიკურ სპორტულ თამაშებზე შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ივერიელებმა საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს. ამჯერადაც, უპირატესობა მათ მხარეს იყო — „ივერიამ" „ნოკაუტით" სძლია მეტოქეს — 16:0.

„მერანისა" და „პატარა" „ივერიის" მატჩი უფრო საინტერესოდ წარიმართა. ჭაბუკებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს მოწინააღმდეგეს და გააზრებული, ზუსტი შეტევების წყალობით შესამჩნევადაც დაწინაურდნენ — 5:0. მაგრამ „მერანმა" შესძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ ძნელ გამარჯვებას მიაღწია — 7:6.

„დიდმა" „ივერიამ" მომდევნო შეხვედრებიც აშკარა უპირატესობით მოიგო და ხუთი ტურის შემდეგ ხუთი გამარჯვებით გათამაშების ლიდერია. მეორე ადგილზე მყოფ „მერანს" ოთხი ქულა აქვს.

**გია ახალაძე**

## ფეხბურთი

# დაკარგული წლები რომ არა...

როდესაც ვფიქრობდი ფეხბურთის გულშემატკივრისათვის რა შემეთავაზებინა „სარბიელის" დღევანდელ ნომერში, გადავწყვიტე შევხვედროდი ფეხბურთელს, რომელთან საუბარიც პირადად მე დიდი ხანია მაინტერესებდა. გადავწყვიტე და „იბერიას" საწვრთნელ ბაზაზე ამ კლუბისა და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველს დიმიტრი კუდინოვს შევხვდი.



გია ახალაძის ფოტო

დიმიტრი კუდინოვი — „მრეტების" ფეხბურთელებთან ბრძოლაში სათასო შეხვედრის დროს

— დიმა, ტრადიციული კითხვით დავიწყოთ. როგორ გახდი ფეხბურთელი?

— შვიდიდან თორმეტი წლის ასაკამდე ტანვარჯიშზე დავდიოდი. შესანიშნავი მწვრთნელი მყავდა. შედეგიც კარგი მქონდა, მაგრამ ერთ დღეს ჩემი მწვრთნელი სამსახურიდან გაუშვეს, ჩვენ კი გვითხრეს, სხვასთან მიგიყვანთო. სხვასთან მე არ მინდოდა. მახსოვს, შუა გზაში ტროლეიბუსიდან ჩამოვედი... სპორტის გარეშე ყოფნას დიდხანს ვერ შევეგუე. მეგობარი ფეხბურთზე დადიოდა და ვთხოვე მეც მივეყვანე. ამგვარად მოვხვდი ფეხბურთში, ჩემს პირველ მწვრთნელთან, რუსტამ გალუსტიანთან.

— შენი პირველი დიდი გუნდი თბილისის „დინამო" იყო.

— რუსტამ გალუსტიანს ლენინგრადის „ზენიტში" ჰყავდა ნაცნობები და ის-ის იყო შესამოწმებლად მივყავდი, რომ მითხრეს, თბილისის „დინამოში" გიწვევენო. ეს მოხდა 1981 წელს. იმ სეზონში, ლუბლში 25 შეხვედრა ჩავატარე, მომდევნო წელს — ყველა. სამ მატჩში ძირითად შემადგენლობაშიც ვთამაშე. 1983 წელს უკვე მთლიანად ძირითადი შემადგენლობისათვის ვემზადებოდი, მაგრამ იანვრის დასაწყისში მამა გარდამეცვალა. ლესელიძეში გუნდს მოგვიანებით შევუერთდი. ვცდილობდი დანარჩენებს ფიზიკურ მომზადებაში დავწეოდი და... პირველად მაშინ ვიტკინე ფეხი. ერთი თვე დავისვენე, ისევ ვივარჯიშე და ისევ ტრამვა მივიღე. ისევ დავისვენე ერთი თვე. მესამედ მოსკოვის „დინამოს" ლუბლთან თამაშის დროს დავშავდი. მოწინააღმდეგეს ძლიერად შევეჯახე და... მოედნიდან ჩემით ვეღარ გამოვედი. მითხრეს ერთი წელი დასვენება მოგიწევსო. ოთხმოცდაოთხის ზამთარში ედუარდ მალოფეევი იყო ჩამოსული. შემომთავაზა, რუსი ხარ, მოსკოვის „დინამოში" წამოდი, გიმკურნალებთ და გათამაშებთო. წავედი და ვერ გავძელი. თბილისში მანუჩარ მაჩაიძემ „ლოკომოტივი" გახსნა და დავბრუნდი. შემდეგ „გურიაში" გადავედი, მაგრამ, მაშინ პირველი ლიგის გუნდში, უმაღლეს ლიგაში ნათამაშებ ორ ფეხბურთელზე მეტს არ აჩერებდნენ. ოთხი თვის მანძილზე განაცხადში ვერ შემიყვანეს. ჩავიქნიე ხელი და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში დავიწყე თამაში, თუმცა ძირითად შემადგენლობაშიც ვერ მოვხვდი. იმ დროისათვის კი უკვე დაოჯახებული ვიყავი და ცოლ-შვილზე უნდა მეზრუნა. ჩემით დავიწყე ვარჯიში. შემდეგ ნოდარ ახალკაცს ვთხოვე, იქნებ ქუთაისის „ტორპედოსთან" პროტექცია გამიწიოთმეთქი. „ტორპედოს" მწვრთნელი გივი ნოდია იყო. მან მითხრა, თუ წამოხვალ მხოლოდ ძირითადი შემადგენლობისთვისო. მოსამზადებელ პერიოდში ბურთის გრძნობა მქონდა დაკარგული. თავს ვძლიე, ბევრს ვვარჯიშობდი. იმ სეზონმა გადაწყვიტა ჩემი ბედი. 1986 წელს ახალკაცმა „დინამოში" დამაბრუნა, ანზორ [illegible]ლი ბიშოვეცმა კი ოლიმპიურ ნაკრებში მ[illegible]წვია. ძველი ტრამვა მაინც თავისას [illegible]ობდა. 86-87 წლებში გამაყუჩებელი ნემსების მეშვეობით ვთამაშობდი. ამას ისიც დაერთო, რომ ლენინგრადიში ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში შვედებთან თამაშისას კვლავ ფეხი ვიტკინე და... მერე მილიციაში მინდოდა მუშაობის დაწყება, არ გამოვიდა. 88-ში ლუშეთში ვთამაშობდი. მცირე ხანს მწვრთნელადაც ვიმუშავე. 1989 წელს უკვე კარგად ვგრძნობდი თავს. ამ დროს ეროვნულმა ჩემპიონატმა მომიხწრო და მე „გორდას" ფეხბურთელი გავხდი. რუსთაველებისაგან ბევრი სიკეთე მახსოვს. წელს „იბერიაში" გადმოვედი, რადგან უკვე 28 წლის ვარ, მინდა კარიერის ბოლოს საზღვარგარეთ წავიდე, ფინანსურად წელში გავიმართო.

— უცხოეთიდან კონკრეტული წინადადება თუ გაქვს?

— ჯერ-ჯერობით არა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მომიწვევენ სადმე. თუ არა და აგერ, საქართველოს პირველ გუნდში ვარ. ვთამაშობ როგორც შემიძლია.

— დიმა, საკავშირო და საქართველოს ჩემპიონატებს ხომ არ შეადარებდი ერთმანეთს?

— დიდი განსხვავებაა. იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენთან ძალიან დაბალი დონეა. იგივე ქეცბაია ჩვენგან წავიდა კვიპროსში და იქ პირველი კაცია, მაგრამ საქართველოში გაცილებით მეტია შესაძლებელი. ისე არ უნდა იყოს, ზოგ თამაშში მოწინააღმდეგე რომ გვთხოვს, მეტი გოლი აღარ გაგვიტანოთო. ფიფა-ში და უეფა-ში თუ მივიღეს, დაახლოებით ათ წელიწადში ყველაფერი კარგად იქნება.

— კონკრეტულად, რით ჩამოვრჩებით მოწინავე გუნდებს?

— საქმისადმი მიდგომით, ფიზიკური მომზადებით, ტაქტიკით... ძლიერი გუნდის წინააღმდეგ მინდორზე გამოსვლაც უკვე გამოცდილებაა. თუ წააგებ, გააანალიზებ დამარცხების მიზეზებს და შემდეგ თამაშში მობილიზებული გამოხვალ.

— დიმა, შენ არაერთ მწვრთნელთან გიმუშავია. გერმან ზონინის დროსაც თამაშობდი. ამ პიროვნებაზე ხალხი სხვადასხვა აზრის არის. საინტერესოა, შენზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა მან?

— ზონინის დროს მეტრავმის გამო ვეღარ ვვარჯიშობდი, თუმცა გუნდში ვიყავი. ის მეტად თავისებური კაცი იყო, ბევრს ითხოვდა. მისთვის სულ ერთი იყო ვინ იყავი, ავტორიტეტი თუ დამწყები მოთამაშე. მისი ვარჯიშები ძალიან ჭკვიანური იყო, ოღონდ ბიჭები მეტისმეტად იღლებოდნენ. სულ ორთაბრძოლები, პერსონალური მეურვეობა... იმავე დროს მან უკმაყოფილო არავინ დატოვა, ყველას მისცა ბინა, მანქანა, უბრალოდ იგი აქაურ გარემოს ვერ შეეგუა და გარემო მას. გახსოვთ, ალბათ ვარჯიშის დროს მას არზიანმა ბურთი მოარტყა თავში. ზონინმა პირად საუბარში მითხრა, ძალად გამიკეთაო, მაგრამ მე ხომ ვიცნობ არზიანს. გამორიცხულია მას ეს შეგნებულად ჩაედინა. ზონინი კარგი მწვრთნელი იყო და კარგი კაცი. ცხადია, იმისთვისაც ჩამოვიდა, რომ დიდი შემოსავალი ჰქონოდა, მაგრამ საქმესაც აკეთებდა.

— ახლა საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე მინდა გკითხო. შენ ნაკრების ორივე თამაშში მიიღე მონაწილეობა...

— ლიტვასთან თამაშის დროს ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს „დინამო" და „ჟალგირისი" თამაშობდნენ. იმოქმედა იმ ფაქტმაც, რომ პირველი თამაში იყო, რამაც მატჩს შოუს ელფერი შესძინა. ალბათ ამიტომაც დამთავრდა ფრედ. კიშინიოვში კი უკვე იგრძნობოდა, რომ ნაკრებში ვიყავით მიწვეულნი. ის მატჩი ბრძოლით მოვიგეთ.

— ჩემის აზრით, შენ ყოველთვის ძალიან კარგი ფეხბურთელი იყავი, თუმცა მეტის მიღწევა შეგეძლო. შენ თვითონ როგორ თვლი?

— მთელი ჩემი ცხოვრება დისციპლინირებული კაცი ვიყავი. ეხლა უკვე ძნელია ყველაფრის თავიდან დაწყება. ვცდილობ, მაგრამ ვგრძნობ, რომ დაკარგულმა წლებმა თავისი კვალი დასტოვეს. მე შვიდი წლის მანძილზე, ტრავმამ გამაწვალა. შესაძლოა, ტანმაღალი ვიყავი, სხეულს კარგად ვფლობდი, მაგრამ ვფიქრობ წმინდა საფეხბურთო ნიჭი, ისეთი, ბიჭებისგან ზოგიერთს რომ აქვს, არ მქონია. მე რომ სულ კარგ გუნდში მევარჯიშა და ტრამვას არ შევეწუხებინე, ალბათ დიდი არა, მაგრამ კარგი ფეხბურთელი ვიქნებოდი.

— ბოლოს, ისევ ტრადიციული კითხვა. რას აპირებ, ფეხბურთს თავს რომ დაანებებ?

— როგორც ვთქვი, საზღვარგარეთ მინდა წავიდე. ცოლი და ორი შვილი მყავს. ოჯახს რჩენა უნდა. დაბრუნების შემდეგ კი ალბათ ბავშვების მწვრთნელი გავხდები. მინდა რომ ჩემი უნარი მათ აღზრდას მოვახმარო.

ესაუბრა **ილია ბაბუნაშვილი**

# ევროპის ჩემპიონატი

## I ჯგუფი

### ესპანეთი-ჩეხეთსლოვაკეთი 2:1

თამაშს, რომელიც გაიმართა სევილიაში, მხოლოდ პრესტიჟული ხასიათი ჰქონდა, რადგან საფრანგეთის ნაკრებმა უკვე მოიპოვა შვედეთში გამგზავრების უფლებ. მ ჯგუფში შემდეგი მატჩი 20 ნოემბერს შედგება. ერთმანეთს შეხვდებიან საფრანგეთისა და ისლანდიის გუნდები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რანგეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 17-5 | 14 |
| ჩეხე ოვაკეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 12-9 | 10 |
| ესპ ეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 17-12 | 6 |
| ისლანდია | 7 | 2 | 0 | 5 | 6-7 | 4 |
| ალბანეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 2-21 | 2 |

## II ჯგუფი

### შოტლანდია — სან-მარინო 4:0

უეფა-ს გადაწყვეტილებით, მატჩი გლაზგოში დაიწყო რუმინეთსა და შვეიცარიას შორის ბუქარესტში შეხვედრის პარალელურად, შუა ევროპის დროით ოთხის ნახევარზე. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის უკმაყოფილება. მათი აზრით, ეს გამოიწვევდა მაყურებლების ნაკლებობას.

მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას. პიველ ტაიმში მაკსტეიმ, გოფმა და დიურიმ მეტოქის კარში სამი ბურთი გაიტანეს, ხოლო თამაშის მეორე ნახევარში მაკკოისტმა კიდევ ერთხელ შეარხია სან-მარინოს ნაკრების კარის ბადე.

### რუმინეთი — შვეიცარია 1:0

რუმინეთმა შინ დაამარცხა შვეიცარიის ნაკრები. ერთადერთი ბურთი გაიტანა მატეუცმა. ამ მოგების შემდეგ რუმინელები ინარჩუნებენ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს.

ჯგუფში უკანასკნელი შეხვედრა გაიმართება 20 ნოემბერს, როცა ბულგარეთი შინ მიიღებს რუმინეთს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 14-7 | 11 |
| შვეიცარია | 8 | 4 | 2 | 2 | 19-7 | 10 |
| რუმინეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 9 |
| ბულგარეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-7 | 8 |
| სან-მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1-33 | 0 |

## III ჯგუფი

### კვიპროსი — სსრკ 0:3

ამ შეხვედრას ლარნაკში 8 ათასი მაყურებელი დაესწრო. საბჭოთა ფეხბურთელები თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას. 27-ე წუთზე ანგარიში გახსნა პროტასოვმა, ხოლო შესვენების შემდეგ იურანმა (79-ე წუთი) და კანჩელსკისმა (83-ე წუთი) კიდევ ორი ბურთი გაიტანეს კვიპროსის ნაკრების კარში.

ამრიგად საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური.

### იტალია — ნორვეგია 1:1

მატჩს, რომელიც გენუაში გაიმართა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიელი ფეხბურთელებისათვის. მათ მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს მხოლოდ იმ შემთხვევაში ინარჩუნებდნენ, თუ საბჭოთა გუნდი დამარცხდებოდა კვიპროსში. ანგარიში გახსნეს ნორვეგიელებმა, ხოლო შემდეგ იტალიელებმა აღადგინეს წონასწორობა.

ჯგუფის უკანასკნელი შეხვედრა გაიმართება 21 დეკემბერს, როცა იტალია უმასპინძლებს კვიპროსს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 8 | 5 | 3 | 0 | 13-2 | 13 |
| ნორვეგია | 8 | 3 | 3 | 2 | 9-5 | 9 |
| იტალია | 7 | 2 | 4 | 1 | 10-5 | 8 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 4 | 2 | 10-9 | 8 |
| კვიპროსი | 7 | 0 | 0 | 7 | 2-23 | 0 |

## IV ჯგუფი

### ავსტრია — იუგოსლავია 0:2

ვენაში იუგოსლავიელებმა იოლად დაამარცხეს ავსტრიის გუნდი და მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის საგზური. ბურთები გაიტანეს ლუკიჩმა და სავიჩევიჩმა.

### დანია — ჩრ.ირლანდია 2:1

დანიის ნაკრები ოდენსეში წარმატების მიუხედავად ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა.

ამ მატჩებით დამთავრდა ასპარეზობა IV შესარჩევ ჯგუფში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 8 | 7 | 0 | 1 | 24-4 | 14 |
| დანია | 8 | 6 | 1 | 1 | 18-7 | 13 |
| ჩრ.ირლანდია | 8 | 2 | 3 | 3 | 11-1 | 17 |
| ავსტრია | 8 | 1 | 1 | 6 | 6-14 | 3 |
| ფარერის კ-ბი | 8 | 1 | 1 | 6 | 3-26 | 3 |

## V ჯგუფი

### უელსი — ლუქსემბურგი 1:0

შეხვედრამ, რომელიც კარდიფში გაიმართა, გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა. თამაშის 82-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით ბოდინმა ერთადერთი ბურთი გაიტანა. მიუხედავად უელსელთა გამარჯვებისა, გერმანია ჯგუფის ფავორიტად რჩება.

ჯგუფის შემდეგი შეხვედრა ჩატარდება 20 ნოემბერს: ბელგია — გერმანია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-6 | 9 |
| გერმანია | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| ბელგია | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 5 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-10 | 0 |

## VII ჯგუფი

### პოლონეთი — ინგლისი 1:1

ამ შეხვედრაში, რომელიც პოზნანში გაიმართა, ინგლისელებს ფრეც ჰყოფნიდათ. ტრავმირებულმა ფეხბურთელებმა თავსატეხი გაუჩინეს ინგლისის ნაკრების მწვრთნელს ტეილორს. ანგარიში პოლონელებმა გახსნეს (შევჩიკი), მაგრამ ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა ლინეკერმა გაქვითა გოლი. ამრიგად, ინგლისის ნაკრები მომავალ წელს შვედეთში გაემგზავრება.

### თურქეთი — ირლანდია 1:3

პირველი ბურთი ირლანდიელებმა გაიტანეს, შემდეგ მასპინძლებმა აღადგინეს წონასწორობა. მაგრამ სტუმრებმა კიდევ ორი გოლის გატანა შესძლეს.

ამ შეხვედრებით დამთავრდა მატჩები VII ჯგუფში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 3 | 3 | 0 | 7-3 | 9 |
| ირლანდია | 6 | 2 | 4 | 0 | 13-6 | 8 |
| პოლონეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-6 | 7 |
| თურქეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-14 | 0 |



# მოედანზეა ნიკოლოზ დერიუგინი!



გია ახალაძის ფოტო

ნიკოლოზ დერიუგინი „შევარდენთან" შეხვედრაში, მიუხედავად ხანგრძლივი პაუზისა, საუკეთესო იყო მოედანზე და თავის გუნდს 82 ქულა მოუტანა.

გუშინ დამთავრდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტური, რომელიც სამტრედიაში, რუსთავსა და თბილისში გაიმართა. სამტრედიაში, სადაც ასპარეზობდნენ თბილისის „დინამო", თბილისის „მართვე", ქუთაისისა და სამტრედიის გუნდები ფავორიტად „დინამო" ითვლებოდა. დაადასტურეს რა თავიანთი ძალა, დინამოელებმა ოთხივე მატჩი დამაჯერებლად მოიგეს და განიმტკიცეს ლიდერის პოზიცია. აღნიშვნის ღირსია „მართვეს" ნორჩ კალათბურთელთა გამარჯვება სამტრედიის გუნდთან. ეს მათი პირველი წარმატებაა ჩემპიონატში, რაც კარგი სტიმული უნდა იყოს ახალგაზრდა კალათბურთელთათვის. რუსთავში, სადაც მასპინძელთა გარდა ასპარეზობდნენ თელავის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები, უპირატესობა რუსთაველთა მხარეს იყო. მათ ოთხივე მატჩი მოიგეს. პირველი მარცხი იწვნია თელავის გუნდმა, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. აღსანიშნავია, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა, რომელმაც საკმაოდ კარგად დაიწყო ჩემპიონატი, ამ ტურში ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო. რაც შეეხება თბილისის ტურს, უპირველეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ მატჩებს, რომლებიც ვერეს ბაღის საკალათბურთო დარბაზში იმართება არა, ჰყავს მაყურებელი. ეს უპირველეს ყოვლისა იმის ბრალია, რომ ჩემპიონატს არა აქვს რეკლამა. თბილისის მოსახლეობის ნახევარზე მეტმა არც კი იცის, რომ მიმდინარეობს ეროვნული ჩემპიონატი. კარგი იქნებოდა კალათბურთის ფედერაცია იზრუნებდეს ამ პრობლემის გადასაჭრელად. რაც შეეხება თავად მატჩებს, თბილისში წარმატებით გამოვიდა „მერანი", რომელმაც ორივე მატჩი საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო „შევარდენს".

მეორე ტურის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. ეს არის თბილისის „დინამო", რომელმაც შვიდ თამაშში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე თითო წაგებით არიან რუსთავის, თელავისა და „მერანის" გუნდები.

თბილისში, ვერეს ბაღის საკალათბურთო დარბაზში მისულ მცირერიცხოვან მაყურებელს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა. ხანგრძლივი „შესვენების" შემდეგ საკალათბურთო ასპარეზზე კვლავ გამოჩნდა ნიკოლოზ დერიუგინი. იგი თბილისის „მერანის" წამყვან მოთამაშედ მოგვევლინა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მას მატჩის შემდეგ ჩამოვართვით:

— **ნიკოლოზ, რას მივაწეროთ თქვენი დაბრუნება საკალათბურთო სარბიელზე?**

— მე მთელი ცხოვრება კალათბურთში გავატარე. ახლა მომეცა საშუალება და სიხარულით დავუბრუნდი.

— **თქვენ დღეს მთელი ორი ტაიმი იყავით მოედანზე. ძნელი წარმოსადგენია უვარჯიშებელმა კაცმა შესძლოს ეს...**

— არც მთლად უვარჯიშებელი ვარ. საქმე ისაა, რომ მე სხვა „ვეტერანებთან" რეგულარულად ვვარჯიშობდი. ახლახან კიევში ტურნირიც მოვიგეთ.

— **თქვენი სახით „მერანს" ანგარიშგასაწევი ძალა შეემატა. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?**

— მე, როგორც გითხარით, ძალიან მინდოდა დაბრუნება კალათბურთში, მით უმეტეს, რომ ახლა ქართულ კალათბურთს ძალიან უჭირს. პირველი ვინც ჩემთან მოვიდა და თამაში შემომთავაზა, იყო „მერანის" მწვრთნელი ზურაბ ბარაქაძე. მეც უყოყმანოდ დავთანხმდი.

— **ბევრმა კალათბურთელმა აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ უცხოეთის კლუბებში სცადა ბედი. ნუთუ დერიუგინით არავინ დაინტერესდა?**

— ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დინამოში ვთამაშობდი, პირადად ჩემს სახელზე ჩამოვიდა მოწვევა ბულგარეთის გუნდიდან. მაგრამ მაშინ „დინამო" კრიზისს განიცდიდა და ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა ჩემი გაშვება. შემდეგ კი მივიღე ის ტრავმა, რომელიც მიუხედავად ოპერაციებისა დღესაც მაწუხებს. ფეხის სრული აღდგენისათვის საჭიროა კიდევ ერთი ოპერაცია, რომელსაც კავშირში ვერ აკეთებენ.

ნიკოლოზ დერიუგინი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელი სულ ახალგაზრდა წავიდა დიდი სპორტიდან. ახლა იგი დაუბრუნდა საკალათბურთო ასპარეზს და საკმაოდ კარგ სპორტულ ფორმაშიც იმყოფება, რაც თბილისის ტურის მატჩებმა დაგვანახა. სრულიად გასაგებია მისი უცხოეთის რომელიმე კლუბში გადასვლის სურვილი. საამისოდ დერიუგინს ესაჭიროება ოპერაცია, რომელსაც ჩვენთან ვერ აკეთებენ. ხოლო უცხოეთში ასეთი ოპერაცია მნიშვნელოვან თანხას მოითხოვს. იქნებ გამოუჩნდეს ნიკოლოზ დერიუგინს სპონსორი, რომელიც თავის თავზე აიღებს ამ ხარჯებს.

დიმიტრი ობოლაძე


**საქართველოს რესპუბლიკის ასოციაცია**




**„ფალავანის" დამოუკიდებელი უნივერსიტეტი**

აცხადებს მიღებას მოსამზადებელ კურსებზე შემდეგი სპეციალობებისათვის

1. **სპორტული ჟურნალისტი**
2. **ტელე-რადიო ჟურნალისტი-კომენტატორი**
3. **გიდი**
4. **საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი**
5. **სპორტისა და ტურიზმის მენეჯერი**
6. **საკურორტო საქმის მენეჯერი**
7. **სპორტისა და ტურისტულ ნაგებობათა მშენებლობა**
8. **სამკურნალო აპარატურა**
9. **სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია**

კურსებზე მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, ასაკის მიუხედავად, აგრეთვე საშუალო სკოლების XI კლასის მოსწავლეები.

კონკურსი სპეციალობის მიხედვით ჩატარდება შემდეგ საგნებში:

— **ჟურნალისტიკის სპეციალობებზე:** — ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა — გასაუბრება

— **მენეჯერის სპეციალობაზე** — ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა

— **საინჟინრო სპეციალობა** — მათემატიკა — წერა, ფიზიკა

— **სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია** — ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია

სწავლების ხანგრძლივობა 8 თვეა.

სწავლება იწარმოებს აღნიშნული სპეციალობებისათვის შედგენილი პროგრამით.

სწავლების ღირებულება შეადგენს 5000 მანეთს.

სწავლების საფასურის გადახდა როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა — დედანი (მე-11 კლასელებისათვის ცნობა სკოლიდან)
2. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №086)
3. პასპორტი და სამხედრო ბილეთი, ან მიწერის მოწმობა (პირადად)
4. ორი ფოტოსურათი (ზომა 3X4)

განცხადებების მიღება იწარმოებს განცხადების დღიდან 20 ნოემბრამდე, ყოველდღე გარდა კვირისა, 10 საათიდან 18 საათამდე.

მისაღები კონკურსი ჩატარდება 21-დან 23 ნოემბრის ჩათვლით.

უნივერსიტეტი მსმენელებს საერთო საცხოვრებლით არ აკმაყოფილებს.

სწავლება დაიწყება 25 ნოემბერს.

დაწვრილებითი ცნობები — მიმღებ კომისიაში.

**მისამართი: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №70 (თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯის შენობაში).**

ტელეფონი: 96-85-21

# „რეალი“ — „აიაქსი“ — „რეალი“?

ამსტერდამის „აიაქსის“ მწვრთნელის, ლეო ბეენჰაკერის განცხადებამ კლუბის დატოვების შესახებ, მის ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს ცივი წყალი გადაასხა. 49 წლის ცნობილმა სპეციალისტმა აღიარა, რომ მან მიიღო მაცდური წინადადება, გახდეს მადრიდის „რეალის“ მენეჯერი. ჰოლანდიელი მწვრთნელი



იუპ ფენსტა (ჰოლანდია)

ლეო ბეენჰაკერი

ადრე მუშაობდა „რეალში“ და ორჯერ გაამარჯვებინა მას ეროვნულ ჩემპიონატში — 1987 და 1988 წლებში, თუმცა ერთი წლის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობასთან გამწვავებული კონფლიქტი მოუვიდა და მიატოვა იგი. მაშინ განაწყენებულმა ბეენჰაკერმა განაცხადა: „ესპანეთში ფეხბურთის ირგვლივ ისტერიული ატმოსფეროა, ნერვები სულ დაძაბულია და არ იცი როდის გიმტყუნებს. მე მინდა წყნარად ვიცხოვრო და ამიტომ ჰოლანდიაში ვბრუნდები“. ახლა იგი სხვანაირად ამბობს: „მე მინდა ვიმუშაო უმაღლეს საფეხბურთო დონეზე. „რეალი“ ჩემი ოცნების გუნდია“.

ესპანეთის კლუბმა, რომელსაც იუგოსლავიელი რადომირ ანტიჩი ხელმძღვანელობს, კარგად დაიწყო ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონატი და პირველი ექვსი თამაშიდან ექვსი გამარჯვება მოიპოვა. ექსპერტების აზრით, ბეენჰაკერი ანტიჩს თანდათანობით შეავიწროებს და მწვრთნელის თანამდებობას დაიკავებს. ჭირჭირობით კი ისინი ტანდემს შექმნიან; ჰოლანდიელი სტრატეგიის საკითხებზე იმუშავებს, იუგოსლავიელი — ტაქტიკაზე.

კონტრაქტის პირობები ჯერ უცნობია, მაგრამ ესპანური პრესა წერს, რომ იგი ორწელიწადნახევარს გასტანს. როგორც ჩანს, ბეენჰაკერი მზად არის „აიაქსს“ კომპენსაცია გადაუხადოს, რადგან „რეალისაგან“ იგი დიდ ფულს ელის. თავის მხრივ კლუბმა საკუთარი მწვრთნელი ღალატში დაადანაშაულა. ბეენჰაკერის „აიაქსთან“ კონტრაქტს ვადა ხომ წელიწადნახევრის შემდეგ გასდის.

## ჩემპიონთა თასის ჯგუფურ შეხვედრათა კალენდარი

27.XI.91. A: ანდერლეხტი — პანათინაიკოსი, სამპდორია — ცრვენა ზვეზდა; B: დინამო — ბენფიკა, ბარსელონა — სპარტა. 11.XII.91. A: ცრვენა ზვეზდა — ანდერლეხტი, პანათინაიკოსი — სამპდორია; B: ბენფიკა — სპარტა, დინამო — ბარსელონა 4.III.92. A: პანათინაიკოსი — ცრვენა ზვეზდა, ანდერლეხტი — სამპდორია; B: ბენფიკა — სპარტა, დინამო — ბარსელონა. 18.III.92. A: ცრვენა ზვეზდა — პანათინაიკოსი, სამპდორია — ანდერლეხტი; B: სპარტა — ბენფიკა, ბარსელონა — დინამო. 1.IV.92. A: პანათინაიკოსი — ანდერლეხტი, ცრვენა ზვეზდა — სამპდორია; B: ბენფიკა — დინამო, სპარტა — ბარსელონა. 15.IV.92. A: ანდერლეხტი — ცრვენა ზვეზდა, სამპდორია — პანათინაიკოსი; B: დინამო — სპარტა, ბარსელონა — ბენფიკა.

ფინალური შეხვედრა 20 მაისს გაიმართება.

# პაუელი სხვა პარსაკლავზეა დაბადებული

ახალი მსოფლიო რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში მაიკ პაუელი ბობი ბიმონის ბედს არ გაიზიარებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს მძლეოსნობაში კარგად ჩახედული ხალხი. ბიმონმა ფანტასტიკური ნახტომი შეასრულა 1968 წელს, როცა მაღალმთიან ოლიმპიურ მეხიკოში 890 სანტიმეტრზე გადახტა. მას შემდეგ ბიმონი ერთხელაც ვერ მიუახლოვდა ამ შედეგს და იგი მალე დაივიწყეს. რაც შეეხება პაუელს, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ იგი თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ და დიდხანს ემზადებოდა ამ წარმატებისათვის. მისი შესაძლებლობები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სპორტსმენს შესწევს უნარი გაიმეოროს 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ტოკიოში დამყარებული თავისი რეკორდი.

თვითონ სპორტსმენი არ მალავს, რომ რეკორდის განმეორების იმედი აქვს: „დარწმუნებული ვარ შევძლებ ამას, თუნდაც იმიტომ, რომ უკვე ბევრჯერ გადავმხტარვარ ასე შორს, ოღონდ, მართალია, უმნიშვნელო ხარვეზებით. ფიზიკურად თავს შესანიშნავად ვგრძნობ და იმედი მაქვს, რომ უკეთეს შედეგსაც მივაღწევ“.

მსოფლიო რეკორდსმენის აზრით, დღეს მსოფლიოში ასეთი შორი ნახტომების შესრულება შეუძლია კიდევ ერთ ათლეტს — კარლ ლუისს, რომელსაც ყველა ბიმონის უდავო მემკვიდრედ თვლის. „ახლა კარლს შესანიშნავი საბაბი აქვს, რომ ჩემი რეკორდის გაუმჯობესებაზე იფიქროს. ჩემი მდგომარეობა სულ სხვაა — საკუთარ თავთან ბრძოლა ყოველთვის უფრო ძნელია“.

მაიკ პაუელმა რეკორდთან ერთად პოპულარობაც მოიხვეჭა და მისი ფინანსური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. მაგალითად, მისმა პირადმა სპონსორმა — სპორტული ფეხსაცმლის მწარმოებელმა კომპანიამ — პაუელს 50 ათასი დოლარი გადაუხადა რეკორდისათვის და კიდევ 5 ათასი — ჩემპიონატში გამარჯვებისთვის. მაგრამ უკანასკნელ ხანს რეკორდსმენის ფინანსურ აგენტს საზრუნავი მოემატა —



რეიტერ-საგენტო-საქინფორმის ფოტო

პაუელის სარეკორდო ნახტომი

პაუელს მოსვენებას არ აძლევენ რეკლამით დაინტერესებული ფირმები და ჰონორარებიც დღითი-დღე იზრდება.

„ფულს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ის უფრო მინდა, რომ ყველგან მცნობდნენ. მინდა მივიღო ის, რაც დავიმსახურე — ყურადღება და პატივისცემა“ — ამბობს მსოფლიო რეკორდსმენი.

## აქეთური, იქითური...

ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ ყოფილი გდრ-ის სპორტული სისტემის რეფორმები მოხდა. ... მხოლოდ ლაიპციგის ლეგენდარული ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი იღებს სახელმწიფო დახმარებას. ამასთან, დახმარების ვადა მკაცრად არის განსაზღვრული — ორი წელი. ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტმა თავი უნდა გამოიჩინოს გამოკვლევებისა და სწავლების სფეროში. საბოლოოდ მისი ბედი მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება.

• • •

პოპულარულ ამერიკელ კალათბურთელს, NBA-ს კლუბ „ნიუ-იორკ ნიკზ“-ის მოთამაშეს, პატრიკ იუინგს მიენიჭა ჩრდილო კაროლინის შტატის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ამგვარად აღნიშნა იუინგის არა მხოლოდ სპორტული მოღვაწეობა, არამედ საზოგადოებრივიც. კალათბურთელი ბევრს მოღვაწეობდა ფიზიკური ნაკლის მქონე ახალგაზრდებთან.

• • •

წლეულს ზაფხულში შედგა მძიმეწონოსანი მოკრივის, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის, ამერიკელი ევანდერ ჰოლიფილდის დებიუტი კინოში. იგი გადაიღეს ფილმში „აუცილებელი სისასტიკე“, რომელშიც მოთხრობილია ამერიკული ფეხბურთის სასტიკ კანონებზე. ექსპერტების აზრით მოკრივემ გამოავლინა კარგი აქტიორული ნიჭი და არც სპორტის მისთვის ახალ სახეობაში შეირცხვინა თავი.

• • •

მიუხედავად 50 მილიონიანი ზარალისა, რომელიც კეთილი ნების თამაშებისაგან იწვნია ტელეკომპანია ტი-ბი-ესმა, იგი მაინც რჩება ამ შეჯიბრებების ერთგული. თამაშების „მამამ“, ტელემაგნატმა ტედ ტერნერმა განაცხადა, რომ რიგით მეოთხე თამაშები ჩატარდება აშშ-ის ტერიტორიაზე (მესამე სანკტ-პეტერბურგში ჩატარდება 1994 წელს), 1998 წელს. ამ შეჯიბრების მასპინძლობის სურვილი 17 ამერიკულმა ქალაქმა გამოთქვა. ამ ქალაქებს შორის გამარჯვებული გამოვლინდება გაისად 1 ოქტომბერს.

აქეთური, იქითური...

ნიუ-იორკში გამომავალ გაზეთ „Новое Русское слово“-ში დაიბეჭდა ვიტალი მელიქ-კარამოვის ინტერვიუ ლელა მესხთან. ავტორი ქართველ ჩოგბურთელს იხსენიებს როგორც ლეილას და ამიტომ ჩვენც, გადავწყვიტეთ რა ამ მასალის გადმობეჭდვა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ავტორისეული სტილის დაცვა.

# ლეილა მესხი: „ჩოგბურთშიც იგივე ხდება, რაც მთელ ქვეყანაში“

23 წლის ლეილა მესხი ყოველთვის მომხიბვლელი და შეუმჩნეველი ჩოგბურთელი იყო სსრ კავშირის იმ ყოფილ ნაკრებში, სადაც პირველ როლებზე იყვნენ ნატალია ზვერევა და ლარისა სავჩენკო, უიმბლდონის ბოლო ჩემპიონები წყვილთა შორის.

თუმცა, მესხს დავუბრუნდეთ, რომელიც თბილისში ცხოვრობს, საკუთარ სახლში მშობლებთან და მეუღლესთან ერთად. მისი სიტყვებით, იგი აქ წელიწადში ყველაზე მეტი სამ თვეს იმყოფება. ჰყავს BMW და „ტოიოტა“, ქმარმა კი სამსახური მიატოვა და მასთან ერთად მოგზაურობს. „რომელიმე ჩვენთაგანი დათმობაზე უნდა წასულიყო“ — ასე ხსნის ამას ლეილა. არადა, მეუღლე ოპერატიულ სამუშაოზე იყო თბილისის სისხლის სამძებრო სამსახურში.

დიდი ხნის მანძილზე ლეილას მესამე ... გუნდში უცვლელი რჩებოდა. ..., აგერ უკვე წელიწადია, რაც მსოფლიოს კლასიფიკაციაში ზვერევასაც უსწრებს და სავჩენკოსაც. ამ სიაში იგი მე... საფეხურზეა. მაგრამ ეს ციფრი მას არ ამშვიდებს. საინტერესოა, რომ ლელას აშშ-ის ჩ...ონატშიც მეცამეტე ნომერი ერგო გა...ის შემდეგ. მიუხედავად ამისა, თავის ...რუმატებლობას (ლეილა მესამე წრ... გამოეთიშა ასპარეზობას, წყვილებში ...არგენტინელ პასთან ერთად ნახევარფინალამდე მივიდა) იგი არ აბრალებს „თარს“ რიცხვს.

— ნიუ-იორკში რომ გავემგზავრე, არცთუ კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი, — ამბობს ...ლა. — ტრავმის გამო დიდი დრო ...რგე. საწყენია, რომ არ აეწყო თამაში ამერიკელ ფერნანდესთან, თორემ მეოთხედფინალამდე მისვლის შანსიც მქონდა, სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ მთელი ძალით ვეთამაშე, მაგრამ ეს ჯიჯის დღე იყო. მთელი მატჩის მანძილზე მას ჩამოწოდებაც კარგად გამოსდიოდა და წინ თამაშიც. რამდენჯერმე, როგორც იტყვიან, ბრმად აგდებდა ბურთს სათამაშო მოედანში. რას იზამ, თამაში თამაშია, ცოტა იღბალი ყოველთვის საჭიროა.

— თქვენ დიდი შლემის ოთხივე ტურნირში მონაწილეობდით. რაიმეთი თუ განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობა?

— ვერავითარ არსებით სხვაობას მე ვერ ვხედავ. დიდი შლემის ტურნირები ყოველთვის უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული. სხვა საქმეა, რომ აშშ-ის ჩემპიონატი ჩემთვის ბედნიერი ტურნირია — შარშან აქ რვა უძლიერესის რიცხვში მოვხვდი. საერთოდ, ამერიკა ჩემთვის ყველაზე ბედნიერი ქვეყანაა, საუკეთესო ტურნირები აქ მაქვს ნათამაშები.

— მას შემდეგ, რაც სპორტსახკომში პრესის ცაწოლისა და მოთამაშეთა შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და სპორტსმენებისათვის მიეცა არა ადრინდელი სასაცილო პრემიები, არამედ საპრიზო თანხის ნახევარი (თუმცა ესეც აბსოლუტურად გაუგებარია), ქვეყნის ნაკრები თვალსა და ხელს შუა დაიშალა. იქნებ მართლაც იყო რაღაც ლოგიკა სპორტული სამინისტროს ბანდიტურ საქციელში? ან, იქნებ, იმ ფაქტმა იქონია გავლენა, რომ ქვეყნიდან წავიდა ოლგა მოროზოვა, რომელმაც ხელი მოაწერა კონტრაქტს ლონდონში და სსრ კავშირის ნაკრები ინგლისის ნაკრებში გაცვალა? თავის დროზე ხომ ამ ცნობილმა საბჭოთა ჩოგბურთელმა, უკვე როგორც მწვრთნელმა, თავი მოუყარათ თქვენ, ჯერ კიდევ პატარებს, ერთ გუნდში?

— გუნდის დაშლის მიზეზი თავად ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. მოროზოვა კი მაშინ წავიდა, როცა უკვე ყველა თავისი ცხოვრებით ცხ... ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდებოდა. რა თქმა უნდა, გარკვეული როლი იმ დიდმა ფულმაც ითამაშა, რომლისთვისაც არავინ არ იყო მზად. თუმცა, ვერ გეტყვით, რომ გადამწყვეტი. უბრალოდ, ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, ჩოგბურთშიც აისახა. მე მომწონდა ... კრებებზე ჩამოსვლა, რომლებსაც მოროზოვა აწყობდა. იმ დროსთან ძალზე თბილი მოგონებები მაკავშირებს, ცუდი არ იყოს, გულიც კი მწყდება. საინტერესოა, ასე იხსენებენ ახალგაზრდობას!

ჩოგბურთი სპორტის იდეალური სახეობაა. ახლა ... დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ტურნირზე გუნდთან ერთად კი არა, ახლობლებთან, ოჯახთან ერთად ჩადიხარ. ადრე ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

— მიუხედავად ამისა ახალ დროებამ წაგართვათ კავშირის ნაკრებში თამაშის უფლება...

— დიახ, მე ... ფედერაციის თასის გათა... და დავკარგე ბარსელონას ... ლაზე გამოსვლის უფლება. შემდეგი თამაშები კი 1996 წელს იქნება... ცუდია, რომ სპორტს ყოველთვის უკავშირებენ პოლიტიკას. მე კიდევ გამიმართლა, რომ ჩოგბურთს ვთამაშობ და აქ მხოლოდ განაცხადის გაკეთებაა საჭირო პირადი მონაწილეობისთვის. რით იცხოვრონ მათ, ვინც გუნდურ შეჯიბრებებში იღებს მონაწილეობას? კვალიფიკაციის დაკარგვით ისინი კარგავენ პურს თავისი არსობისა. სპორტი მათი პროფესიაა, მათ სხვა არაფერი უსწავლიათ. მე წამოვიწყე ლაპარაკი სსრ კავშირის ნაკრებში ჩემი ...თვის საკითხზე, სანამ ...რის საქართველოს ..., მაგრამ მიპასუხეს: „... არის საჭირო ამაზე ლაპარაკი“. ერთი, თუნდაც პრესტიჟული ტურნირის დაკარგვას როგორმე გადავიტან.

— ჩემის აზრით, უკანასკნელ მოვლენათა გამო დაიკარგება მსოფლიო დონის სპორტსმენთა ორი თაობა. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი, რუსეთისა თუ საქართველოს დროშით გამოვლენ ისინი მოთამაშეში...



— კიდევ კარგი, ჩვენ ჩოგბურთის უკანასკნელი მოთამაშეები არა ვართ. მე მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, დროა მხოლოდ საჭირო. ნიჭიერმა ბავშვებმა სპონსორები უნდა ეძებონ, ეს კი ძალზე რთულია.

„სარბიელის“ სპონსორია ასოციაცია „ფალავანი“

PALAVANI · ПАЛАВАНИ

ფალავანი

გამოდის პარასკეობით

სარბიელი

ინდექსი 68441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380096, კოსტავას ქ. №14
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია